№ 19. წელიწადი პირველი

ფასი ყველგან 15 კაპ.

# დროშა



ჩაის მოკრეფა ჩაქვის სახელმწიფო მამულში.



# ТРЕВОГА

8

Сегодня вместе со всей Особой Армией встает на боевой пост ... „Тревога". Выше победные знамена, красные бойцы ...

Покажем нерушимую классовую сплоченность ...

тия, высшую отвагу красноармейских полков в ...

## Бойцы Особой! Будьте ...

შორეულ აღმოსავლეთის განსაკუთრებულ არმიის პირველი გაზეთი „ტრევოგა“.



### პირველი ომნიბუსის ასი წლის თავი ლონდონში

პირველი ომნიბუსი გამოიგონა ოსტელ შილებერმა, რომლის მსგავსი ააგეს და ქუჩაში გამოიტანეს ახალ ომნიბუსების დასაპირისპირებლად. ომნიბუსის ასი წლის თავი დიდის ზეიმით ჩაატარეს.




განათებული ხელი, ავტომობილებისათვის ახალი სიგნალიზაცია. განათებული ხელი აჩვენებს გზას, თუ შოფერს საით სურს წასვლა. პირველად შემოიღეს ლონდონში.



გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი შ ტ რ ე ზ ე მ ა ნ ი.

გარდაიცვალა 2 ოქტომბერს, 1929 წ.



ბერლინში, აგვისტოში მოწყობილ იქნა ანტირელიგიური პროპაგანდა, რომელმაც დააფრთხო ბურჟუაზიული და კლერიკალური საზოგადოება. პლაკატზე აწერია: „რელიგია ოპიუმია ხალხისთვის“.



რკინის გზას აურებელი „შპალი“ სჭირდება, და რომ თვითეულ „შპალზე“ გაიწიოს მცირეოდენი ეკონომია, ეს დიდს თანხას შეადგენს. ამის გამო ეხლა საშპალედ ხმარობენ დაბალ ხარისხის ხეს, ხოლო მას 21 სპეციალ სითხეში ხარშავენ. სურათზე—ქარხანა, სადაც ახალ სისტემით ამზადებენ „შპალს“.



უდიდესი მანქანა საბჭოთა კავშირში, რომელიც დადგმულია კონდოპოგის ქაღალდის ფაბრიკაში, რომლის წლიური პროდუქცია უდრის 25.000 ტონა საგაზეთო ქაღალდს.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

№ 19. 1929 წ. 18 ოქტომბერი

დროშა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# განუწყვეტელი წარმოება და დასვენება

რა არის განუწყვეტელი წარმოება?

განუწყვეტელი წარმოება გულისხმობს ტეხნიკისა და კულტურის ისეთ დონეს, რომელზედაც შესაძლებელი გახდება ადამიანთა საზოგადოების ფართო და რთულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება ბუნების ძალთა და მის სიმდიდრეთა გამოყენებით. განუწყვეტელი წარმოება მოითხოვს ტეხნიკური პროცესის, შრომის ფორმებისა და კულტურულ-ყოფაცხოვრებითი პირობების ახალ წესებზე აშენებას, განუწყვეტელი წარმოების მთავარი საფუძველი შეუჩერებლივ მომუშავე საწარმოა. ამ საწარმოს რომელიმე ნაწილი შეიძლება შეჩერდეს და სრულიად მოიშალოს კიდეც, მაგრამ თვით წარმოება, მთლიანად აღებული განუწყვეტლივ უნდა მუშაობდეს: როდესაც რაიმე მიზეზით წარმოებას გამოეცლება მექანიკური ან ცოცხალი ძალა მის სანაცვლოდ წარმოებაში დაუყოვნებლივ ახალი ერთეული, ახალი ძალა უნდა იქნეს ჩაბმული, ისე რომ წარმოება არ შეჩერდეს.

განუწყვეტელი წარმოების იდეალი სწორედ ასეთი შეუჩერებლივ მომუშავე საწარმოა. იგი თავის დროზე უზრუნველყოფილია აუცილებელი ნედლეული, დამხმარე მასალით, ენერგიით. განუწყვეტლივ ამუშავებს პროდუქციას, განუწყვეტლივ სცვლის გაცვეთილ ნაწილებს ახლებით, დროებით ჩამოშორებულ ელემენტებს სხვებით და სხვ. ამას გარდა ეს საწარმო განუწყვეტლივ უნდა უმჯობესდებოდეს ტეხნიკურად, რაციონალიზაციის გზას უნდა ადგეს.

განუწყვეტელმა წარმოებამ სრულიად უნდა შესცვალოს ჩვენი საადმინისტრაციო, სავაჭრო, კულტურული და საზოგადოებრივი ცხოვრების ტემპი. ჩვენმა სავაჭრო დაწესებულებებმა და კოოპერატივებმა უკვე გამოაცხადეს განუწყვეტელ წარმოებაზე გადასვლა. საადმინისტრაციო დაწესებულებანიც იძულებული იქნებიან მოქალაქეთა საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას განუწყვეტლივ ემსახურონ. თეატრები, კინოები, რადიო-სადგურები ეს უდიდესი, ფართო მასებში კულტურის გამტარებელნი უკვე მუშაობენ ცხოვრების ახალ პირობებთან შეგუების საქმეში. სასწავლებლებიც გადადიან განუწყვეტელ სამოსწავლო კვირაზე. დღეს არა ხვალ ამავე გზას დაადგებიან საზოგადოებრივი სასადილოები და ბაგები.

განუწყვეტელ წარმოებასთან დაკავშირებით წამოიჭრა უდიდესი მნიშვნელობის საკითხი: როგორ უნდა მოეწყოს დასვენება? როგორ უნდა მოწესრიგდეს დასასვენებელი დღეები და შვებულებანი ისე, რომ რაც შეიძლება მეტად სასარგებლო იყოს მომუშავისათვის და სახელმწიფო წარმოებისათვის?

უჩვევო, რომ თანამედროვე საზოგადოებამ უკან დასტოვა შრომის ნაყოფიერების ისეთი დონე, როდესაც აუცილებელი იყო ექვსი დღის შრომა და მხოლოდ მეშვიდე დღეს დასვენება. ეს შრომაც არ იყო საკმაო ცხოვრების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის. ამჟამად კაცობრიობამ იმდენად დაიპყრო და დაიმორჩილა ბუნების ძალები, შრომის ისეთი იარაღები მოიგონა, მიმოსვლის ისეთი საშუალებანი შექმნა, იმოდენა საზოგადოებრივი სიმდიდრე და დოვლათი დააგროვა, რომ სამუშაო კვირის შემოკლება ფუფუნება კი არ არის, არამედ საზოგადოებრივი აუცილებლობა. შეიძლება ითქვას, რომ კაცობრიობამ თავისი ათას წლოვანი შრომითა და ჯაფით მოიპოვა არამც თუ 8 საათის, არამედ 7 საათის სამუშაო დღე და შემცირებული სამუშაო კვირა. შემცირებული სამუშაო კვირისა და შემოკლებული სამუშაო დღის მეოხებით, ყოველ მშრომელს საშუალება ეძლევა არა მარტო ერთი ზედმეტი საათით დაისვენოს, არამედ სერიოზულად მოჰკიდოს ხელი თავისი ცოდნის გაღრმავება-გაფართოვებას, ნიჭისა და უნარის გაშლა-გაფურჩქვნას, ტალანტის განვითარებას და ბოლოს, თავისი კვალიფიკაციის ამაღლებას.

შემცირებული სამუშაო კვირა ჩვენში სულ სხვაა და კაპიტალისტურ ქვეყნებში სულ სხვა. პოლონეთში, მაგალითად, ზოგიერთი საწარმონი 2—3 დღეს მუშაობენ, ხოლო დანარჩენ დღეებს მუშები „ისვენებენ". შემოკლებული სამუშაო კვირა კაპიტალისტურ ქვეყნებში, მუშათა კლასის ეკონომიური ინტერესების განადგურებაა. ეს იწვევს სიმშილს, ავადმყოფობას, გადაგვარებას, თვითმკვლელობას. ეს არის წარმოების შეკვეცა, ფაბრიკა-ქარხნებისა და მანქანების შეჩერება. ეს არის წარმოებებიდან მუშების გამორეკა.

ჩვენში სამუშაო კვირის შემცირება გულისხმობს არა მარტო შრომის ხელფასის დაცვას, არამედ მის მომატებას, როგორც ეს გათვალისწინებულია საკონტროლო ციფრებით. წარმოების განვითარებასა და პროდუქციის ზრდასთან ერთად სამუშაო კვირის შემცირება ჩვენში ტარდება იმ მოსაზრებით, რომ რაც შეიძლება მეტად და ყოველმხრივად დაკმაყოფილებულ იქნას მშრომელთა საჭიროებანი და მოთხოვნილებანი

როგორ უნდა განისაზღვროს შრომისა და დასვენების რიტმი, განუწყვეტელ წარმოების დროს? ზედიზედ რამდენი დღე უნდა ვიმუშაოთ.

ეხლანდელი კვირა ექვს დღიანი შრომისა ერთი დღის დასვენებით მეტად გრძელია. ასეთი კვირის ბოლოში შრომის ინტენსივობა მნიშვნელოვნად მცირდება და შესამჩნევად იზრდება უბედურ შემთხვევათა რიცხვი.

საბჭოთა საზოგადოებრიობა ამჟამად მუშაობს შრომისა და დასვენების მომწესრიგებელ სხვა და სხვანაირ სისტემებზე. ეს სისტემები უკვე ხორციელდება.

შეგვიძლიან აღვნიშნოთ ამ სისტემების შემდეგი ვარიანტები: 5 სამუშაო დღე მეექვსე დასასვენებელი დღით და 3—4 რევოლიუციონური უქმეებით წელიწადში (ჩვეულებრივი შვებულებით).

იგივე რევოლიუციონური უქმეების გამოკლებით მაგრამ შვებულების ვადის გაგრძელებით.

4 სამუშაო დღე მეხუთე დასასვენებელი დღით და ჩვეულებრივი შვებულებით.

იგივე 3—4 რევოლიუციონური უქმის დამატებით.

დეკადა (ათდღიური) ორი დასასვენებელი დღით და ჩვეულებრივი შვებულებით.

შვიდ დღიანი კვირა ორი დასასვენებელი დღით და ნორმალური შვებულებით (უკრაინაში).

დეკადა (ათდღიური) ერთი დასასვენებელი დღით, 3—4 რევლიუციონური უქმით და მნიშვნელოვანად გადიდებულის შვებულებით.

და სხვა.

ყველა ამ ვარიანტებში წარმოების განუწყვეტელობა შრომაში დაცულია იმითი, რომ მორიგეობით ისვენებს მხოლოდ მომუშავეთა განსაზღვრული ნაწილი

ამჟამად ეს „ექვსდღიანი", „ხუთდღიანი" და სხვ. პრაქტიკაში შეაქვთ შესამოწმებლად.

თუმცა მთელი რიგი ორგანიზაციებისა უკვე გადაჭრით მიემხრო „ხუთდღიურს" ე. ი. ისეთ სამუშაო კვირას, რომელშიაც 4 დღე სამუშაოა და ერთი დასასვენებელი. ხუთდღიურის დროს ყოველდღე ისვენებს წარმოებაში მომუშავეთა 1/5 ნაწილი. ხუთდღიურს ემხრობა საკავშირო პროფსაბჭო, ს. მ. უ. ს-ი და სხვა ორგანიზაციები.

საწარმოო ცხოვრების განუწყვეტელობაზე გადასვლა, ცხადია დიდ სიძნელეთა გადალახვასთან არის დაკავშირებული. ეს ცვლილება უცებ ვერ მოხდება. ზოგიერთ დარგის წარმოებაში, რასაკვირველია, საჭირო იქნება დიდი წინასწარი მოსამზადებელი მუშაობის გაწევა.

ეს სიძნელენი შიშის ზარსა სცემს ზოგიერთ ურწმუნოებს და ჩვენს ბიუროკრატებს, რომელნიც ცდილობენ გამოიგონონ სხვა და სხვა მიზეზები, რათა შეაჩერონ და დააბრკოლონ განუწყვეტელ წარმოებაზე გადასვლა. მაგრამ „განუწყვეტლობის" მომხრეა თვით ცხოვრება.

# ქართული ტერნაწილები მანევრებზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართულ ტერიტორიალურ ნაწილებს არ აქვთ დიდიხნის ისტორია. ტერიტორიალური დივიზია საქართველოში ჩამოყალიბდა მხოლოდ ამ ოთხი წლის წინად.

ჩვენს ტერიტორიალურ ნაწილებს პირველ ხანებში სწავლება-მეცადინეობა უხდებოდათ ფრიად მძიმე პირობებში. ტერიტორიალური სისტემა ჯერედ უცნობი იყო, მოსახლეობა არ იცნობდა მას, ტერნაწილებისათვის არ იყო მეთაურთა და პოლიტმუშაკთა საკმაო კადრი, არ იყო საჭირო სახელმძღვანელოები და სხვა.

მიუხედავად ამ დაბრკოლებებისა, ტერიტორიალური მშენებლობა საქართველოში სწრაფი ნაბიჯით მიდიოდა წინ. მოკლე ხანში შედგენილი იქნა საჭირო სახელმძღვანელოები, რუსულიდან გადმოითარგმნა აგრეთვე რამოდენიმე წიგნი ტერნაწილების მშენებლობის შესახებ, შეიქმნა მეთაურთა და პოლიტხელთა საჭირო კადრი. მოსახლეობის შორის ჩატარებული იქნა დიდი მუშაობა, რათა იგი გაეცნობოდა ტერიტორიალური მშენებლობის მიზნებს. ამ მუშაობამ გამოიღო სათანადო ნაყოფი: როგორც ქალაქის, ისე სოფლის მშრომელები გაერკვნენ ახალ სისტემაში და უწევდნენ ყოველგვარ დახმარებას ახალ ნაწილებს.



ფოტო. შ. ფურცხვანიძის

თვით ტერიტორიალური ნაწილები ყოველდღიურათ მტკიცდებოდნენ და იზრდებოდნენ. სამხედრო და პოლიტიკური ხასიათის მუშაობა მიმდინარეობდა შეუფერხებლად. საქართველოს მშრომელთა დახმარებით, ტერიტორიალური დივიზია მალე გადაიქცა მძლავრ იარაღათ მუშებისა და გლეხების ხელში.

ყოველწლიურად დივიზია ატარებდა საერთო შეკრებებს, სადაც იყრიდა თავს დივიზიის მთელი შემადგენლობა ეს შეკრებები ამტკიცებდნენ, რომ დივიზია ყოველთვის მზად არის საბრძოლველად.

დივიზიის უდიდეს ნაკლს წარმოადგენდა ის, რომ მას არ ჰქონდა საკუთარი საზაფხულო ბანაკი. მეცადინეობას ზაფხულობით იგი ატარებდა სხვა დივიზიების ბანაკებში, რაც არ იყო ხელსაყრელი ტერნაწილებისათვის.

საქართველოს მშრომელების უშუალო დახმარებით, ქვემო ავჭალაში მოკლე ხანში აგებულ იქნა ტერდივიზიის ბანაკი, რომელმაც იქონია დიდი გავლენა დივიზიის შემდგომ სწავლება-მომზადებაზე.

წრევანდელმა მანევრებმა, რომელიც ჩატარდა თბილისის მიდამოებში, ნათელჰყო ის გარემოება, რომ ტერიტორიალური დივიზია საკმაოდ გაზრდილა და დღეს იგი წარმოადგენს უდიდეს საბრძოლო ერთეულს, რაც აღნიშნული იყო კავკასიის წითელდროშოვან არმიის სარდლობის მიერ.

მანევრების პირველი ეტაპი — მოძრაობა ღამით და პარტიზანების მოგერიება — ჩატარებული იქნა არმიელების და მეთაურების მიერ დიდის დაკვირვებით. გადასვლა მტკვარზე ბრძოლის პირობებში იყო შესრულებული დივიზიის მიერ საუკეთესოდ. აქ დივიზიის მთელმა შემადგენლობამ გამოიჩინა სამხედრო საქმის საუკეთესო შეთვისება და ცოდნა.

„ბრძოლებმა“ შავნაბადას, ტაბახმელას და კოჯორის მიდამოებში დაანახვა ყველას ცვალებადელთა .მტანიანობა, გამძლეობა. მანევრები ტარდებოდა ფრიად ცუდ პირობებში. ქარი, სიცივე, ტალახი, წვიმა, ყველა ეს ხელს უშლიდა სარდლობის მიერ დასახულ გეგმის განხორციელებას. მაგრამ არმიელებმა გადალახეს ყოველგვარი სიძნელე და გამოცდა ბრწყინვალედ ჩააბარეს.

„ბრძოლა“ კოჯრის ულელტეხილის დასაპყრობად ჩატარდა ბრწყინვალედ.

ტერიტორიალური დივიზიის მანევრები იყო ამ დივიზიის გამოცდა, რომელმაც გვიჩვენა, რომ საქართველოს მშრომელებს ჰყავთ საუკეთესოდ მომზადებული მებრძოლნი. ტერიტორიალური დივიზია, საჭირო დროს, მუშურ-გლეხურ წითელ არმიასთან ერთად შესძლებს იარაღით ხელში დაიცვას თავისუფლება, მოპოვებული მრავალი მშრომელის სისხლით.

მხედარი

---

# ტრაქტორი

გამარჯვების ზეიმია
თვით შორეულ დღეს ჩვენ სოფლად
მოგუგუნე ტრაქტორია
საბაბათ და მახარობლად.

ყველა მიდის,
ამ წარმავალ წუთისოფლად,
ყველა ჯურის ბატონები
დრომ მოჭამა დაუნდობლად.

ძველ სახნისსაც გაუვიდა
ყავლი თვისი, უბადრუკი,
და მის ნაცვლად დღეს ტრაქტორმა
განაბლების დაჰკრა ბუკი,
გამარჯვების ზეიმს იხდის
მოხუცია თუ ჭაბუკი.
თავისუფალ საქონელმაც
ცეკვა იწყო და ფუნდრუკი,
გლეხკაცს ჯაფა შეუმცირდა,
გაუბრწყინდა სახე მუქი.

გ. ძუჩიშვილი.

# სოფელი სოციალისტური გარდაქმნის გზაზე

საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობაში ხდება უდიდესი გარდატეხა, რევოლიუცია, რომლის მთელი მნიშვნელობა ნათელი შეიქნება, თუ გავითვალისწინებთ სოფლის მოსახლეობის—გლეხობის როლს ყველა წინა რევოლიუციებში ოქტომბრის რევოლიუციამდე. გლეხობა ხშირად გამოდიოდა როგორც რევოლიუციონური ძალა, ზოგიერთ მომენტებში იგი მუშათა კლასთან ერთად გამოდიოდა, მაგრამ მიაღწევდა რა თავის მოთხოვნილებათა თუნდა ნაწილობრივ დაკმაყოფილებას, იგი გადადიოდა გაბატონებული კლასების მხარეზე და ხშირად კარგავდა თავის მონაპოვარს, მოტყუებული რჩებოდა.

სულ საწინააღმდეგო სურათის მოწმე ვართ ოქტომბრის რევოლიუციაში და მის შემდეგ.

ოქტომბრის გადატრიალების ორგანიზატორმა კომუნისტურმა პარტიამ შესძლო დაერაზმა ღარიბი და საშუალო გლეხობა არა მარტო მემამულე-ქსენების ბატონობის დასამხობად, სოფლად ფეოდალურ ურთიერთობის მოსასპობად და შემდეგ—შინაური და გარეშე მტრების წინააღმდეგ საბრძოლველად, არამედ შესძლო მუშათა კლასის და ღარიბ და საშუალო გლეხობის კავშირის შენარჩუნება იმის შემდეგაც, როცა გაქრა ძველი რეჟიმის აღდგენის უშუალო საფრთხე (ე. ი. გლეხების მიერ ოქტომბრის გადატრიალების შედეგად მიღებული მიწის დაკარგვის საფრთხეც).

ის გარემოება, რომ გლეხობის ძირითადი მასა—საშუალო გლეხობა—არ გადაბარგდა კონტრ-რევოლიუციის ბანაკში, წარმოადგენს ოქტომბრის რევოლიუციის ერთ-ერთ უდიდეს მიღწევათაგანს და იგი შესაძლებელი გახდა მხოლოდ იმ სწორ პოლიტიკურ-ეკონომიურ ღონისძიებათა საშუალებით, რომელთაც ლენინის პარტია ატარებდა გლეხობის მიმართ.

მაგრამ განსაკუთრებით დიდი სოციალისტური მშენებლობისათვის განუზომელი მნიშვნელობის მქონეა ის გარემოება, რომ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების სწორი პოლიტიკის წყალობით ღარიბი და საშუალო გლეხობა აქტიურად იქნა ჩაბმული სოციალისტურ მშენებლობაში. არავისთვის საიდუმლოებას არ შეადგენს ის გარემოება, რომ ჩვენი ეკონომიური დაბრკოლებების ერთ-ერთი მიზეზია გლეხური მეურნეობის თანამედროვე ძირითადი ფორმების (წვრილი დაქსაქსული მეურნეობა) შეუფერებლობა მრეწველობის სოციალისტურ ფორმებთან. სოფლის მეურნეობა უმთავრესად წვრილ დაქსაქსულ მეურნეობათაგან შესდგება: ამიტომ მას არ შეუძლია სასაქონლო (გასაყიდი) არც ნედლეულისა და არც სურსათ-სანოვაგის მიწოდება ქალაქის თვის საკმაო რაოდენობით. თითეულ ცალკე პატარა მეურნეობაში დარჩენილი გასაყიდი პროდუქციის შეკრება მეტად ძვირი ჯდება და დიდ სიძნელეებთანაა დაკავშირებული. წვრილ მეურნეობის პირობებში ძნელია მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების ფართოდ გამოყენება. სასოფლო-სამეურნეო მანქანის სრული დატვირთვა მხოლოდ მსხვილ მეურნეობაშია შესაძლებელი. მხოლოდ მსხვილ მეურნეობას შეუძლია იმდენი პროდუქციის შექმნა, რომელიც ქალაქის მრეწველობასა და მოსახლეობას დააკმაყოფილებს. მსხვილი მეურნეობის შექმნა შეიძლება ორი გზით—ან დათმობით კულაკობის მიმართ, ღარიბი და საშუალო გლეხობის ჩაგდებით მის ხელში ან ღარიბ და საშუალო გლეხობის გაერთიანებით კოლექტიურ საფუძვლებზე და აგრეთვე სახელმწიფო მსხვილ სასოფლო მეურნეობათა შექმნით. პირველი გზა, რომელსაც ქადაგებდნენ ზოგიერთი მერყევი და ოპორტიუნისტული ელემენტები, ნიშნავდა კაპიტულიაციას კაპიტალისტური ელემენტების წინაშე, კლასობრივი პოზიციების დათმობას და ნიადაგის შექმნას ძველი რეჟიმის აღდგენისათვის. პარტიამ კატეგორიულად უარყო ეს გზა. მან აირჩია სოფლის სოციალისტურად გარდაქმნის გზა.

დაიწყო სოფლად სახელმწიფო მეურნეობათა (საბჭოთა მეურნეობანი) შექმნა.

მათმა შექმნამ რევოლიუციონური გავლენა იქონია სასოფლო მეურნეობაზე. საბჭოთა მეურნეობების მეზობლად მცხოვრებ გლეხებს საშუალება მიეცათ თავისი თვალით დაენახათ რთული მანქანების და გაუმჯობესებულ იარაღ-მანქანების გამოყენების უპირატესობა მამაპაპური კავისა და სახნისის წინაშე. მაგრამ ვინაიდან ცალკე მეურნეობისათვის ძნელი იყო ტრაქტორის ან სხვა რთული მანქანის შეძენა, ბუნებრივად თვით გლეხობაში დაიბადა გაერთიანების აუცილებლობის აზრი. კერძო საკუთრების პრინციპმა მიიღო პირველი სასიკვდილო ჭრილობა.

ეს იყო რამდენიმე წლის წინათ. ახლა კი ჩვენ ვართ სოფლის სოციალისტური სექტორის - საბჭოთა და კოლმეურნეობათა ზღაპრული ზრდის მოწამე. ასეთი მიღწევა შესაძლებელი გახდა ერთის მხრივ პარტიისა და ხელისუფლების იმ პოლიტიკურ-ეკონომიურ ღონისძიებათა ზეგავლენით, რომელთა მიზანია კაპიტალისტური ელემენტების შეზღუდვა და საბოლოო ანგარიშით მათი საბოლოო ლიკვიდაცია (ღარიბი და საშუალო გლეხობისათვის მატერიალური დახმარების აღმოჩენა, გაძლიერებული დახმარება კოლექტიურ და საბჭოთა მეურნეობებს), მეორე მხრივ იმის წყალობით, რომ ჩვენ შევსძელით მსხვილ სასოფლო-სამეურნეო მანქანათ მშენებლობის მოწყობა. ცნობილია თუ რა მნიშვნელობა აქვს მანქანას სოფლად. ტრაქტორი აბრუნებს არა მარტო მიწას, არამედ იმ ძველ ყოფაცხოვრებასაც, რომელიც ახალი სოფლის შექმნას უშლის ხელს. მანქანა ჩვენი საუკეთესო აგიტატორი და პროპაგანდისტია სოფლად. აქ მხედველობაშია მისაღები კიდევ ის გარემოება, რომ მანქანასთან ერთად სოფელს შეემატა ახალი სოციალისტური და კულტურული ძალები: მანქანებზე მომუშავე მუშები, აგრონომიული პერსონალი. ამრიგად ჩვენ სოფლად გვყავს ხალხი, თუგინდ მცირერიცხოვანი, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების ხაზის თავდადებული და დაუღალავი გამტარებელია. მანქანა და ახალი სოციალისტური იდეებით გამსჭვალული ადამიანები—განა ეს რევოლიუციონური ფაქტორი არ არის?

სოციალისტური სექტორი სოფლად იზრდება ისე სწრაფად, რომ აჭარბებს ყოველგვარ გადაჭარბებულ მოლოდინს: საბჭოთა მეურნეობების ნათესების სივრცე (ციფრები მთელ საბჭ. კავშირს ეხება) 1928-24 წ. უნდა გ დიდებულიყო 7 პროცენტით, სინამდვილეში გაიზარდა 27-ით, კოლმეურნეობებში—94-ის მაგიერ 207 პროცენტით გაიზარდა.

კოლმეურნეობათა ნათესების სივრცის გაფართოების ხუთწლიანი გეგმა ფაქტიურად ხუთ წლედის მესამე წელს იქნება შესრულებული და ისიც გადაჭარბებით (ხუთწლედის დამლევისათვის კოლმეურნეობათა ნათესების სივრცე 20 მილიონ ჰექტარამდე უნდა გადიდებულიყო; მაგრამ, სინამდვილეში, უკვე მიმდინარე—1929-30 წ.—15 მილიონ ჰექტარამდე მიაღწევს).

მაგრამ გარდა სოციალისტური სექტორის ზრდისა სასოფლო მეურნეობაში აღსანიშნავია მთელი რიგი სხვა ცვლილებები, რომლებიც ჯერ თითქოს კიდევ შეუმჩნეველია. საბჭოთა სახელმწიფო კონტრაქტაციისა და თავისი საკრედიტო პოლიტიკის საშუალებით სრულიად ახალ, ჯერ არსად არ არსებულ ურთიერთობას ქმნის ქალაქსა და სოფელს შორის. საბჭოთა სახელმწიფო აძლევს გლეხობას სესხს თავიანთი მეურნეობის გასაუმჯობესებლად, აწვდის გაუმჯობესებულ სათესლე მასალას, იარაღ-მანქანებს. თავის მხრივ გლეხობა კისრულობს განსაზღვრულ ვალდებულებებს სახელმწიფოს წინაშე—მას ჩააბაროს მთელი ან ნაწილი თავისი პროდუქციისა. ამრიგად გლეხობის ძირითადი მასა ერთგვარ სახელშეკრულებო ურთიერთობაში იმყოფება საბჭოთა სახელმწიფოსთან, რომელსაც ამ გზით, საშუალება აქვს ზეგავლენა მოახდინოს მასზე (გლეხობაზე) სოციალისტური მშენებლობის ინტერესების მიხედვით. ამგვარი სახელშეკრულებო ურთიერთობა სახელმწიფოსა და გლეხობას შორის, როცა გლეხობა ასრულებს სახელმწიფოს დაკვეთებს, უსათუოდ პირველხარისხოვანი მნიშვნელობის მქონე მოვლენაა, იგი მოასწავებს უდიდეს გარდატეხას სოფლის მოსახლეობის ფსიქიკასა და მუშაობის მეთოდებში, აჩვევს მას გეგმიანობას (პირობის შესასრულებლად), ანელებს (თუ სრულიად არ სპობს) სპეკულიანტურ ინსტინქტებს და სხვ. გლეხობა თანდათან ხდება სოციალისტური მშენებლობისა და წარმოების აქტიური და შეგნებული მონაწილე.

ამგვარი გარდატეხის მოხდენა გლეხობის ფსიქიკაში, მისი კერძო მესაკუთრის ინსტიქტის დაძლევა (თუგინდ არა სრულიად), რომელსაც ჩვენი მტრებიც გაოცებაში მოჰყავს, ფართო პერსპექტივებს შლის სოფლის სოციალისტურად გარდაქმნის საქმეში. კოლექტივიზაციის პრინციპი ერთ პოზიციას მეორეზე იპყრობს სოფლად. ხდება არა მარტო ცალკე მეურნეობათა, არამედ მთელი სოფლების გაერთიანება კოლექტივებში. თუ კოლექტივიზაციის ტემპი ამგვარად გაგრძელდა, ხუთწლედის დამლევისთვის მთელ რიგ რაიონებში განსაზოგადოებული იქნება ნათესების 60—70 პროცენტი. ცხადია, თუ რა მნიშვნელობა ექნება ამ ფაქტს მრეწველობის ნედლეულით და ქალაქის მშრომელების სურსათით უზრუნველყოფის თვალსაზრისით.

სოფლის მეურნეობის გარდაქმნასთან პარალელურად პარტია და ხელისუფლება უდიდეს ყურადღებას აქცევენ მოსავლიანობის გადიდებას. ცნობილია, რომ საბჭოთა კავშირში მიწა რამდენჯერმე ნაკლებ მოსავალს იძლევა ვიდრე უცხოეთში, კულტურული მეურნეობის პირობებში, განსაკუთრებით ნაკლები შრომის დახარჯვით. მოსავლიანობის გასადიდებლად საბჭოთა ხელისუფლება ატარებს მთელ რიგ აგრონომიულ ღონისძიებებს, ნაწილობრივ თვით გლეხობის საშუალებით (აგრომინიმუმი), უმთავრესად კი თავის საშუალებებით; ავრცელებს სოფლად მინერალურ სასუქს. ამავე დროს, სოფლად სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების გავრცელება შესაძლებლად ხდის მეურნეობის ფორმების გაუმჯობესებას, უფრო მაღალ საფეხურზე აყვანას. საცდელ საჩვენებელი და სამანქანო-სატრაქტორო სადგურები ამ დანიშნულებას ემსახურებიან.

თავისთავად ცხადია, რომ ყველა ის პროცესები, რომლებიც სოფლად მიმდინარეობს, არ შეიძლება არ აინტერესებდეს ქალაქის მუშათა კლასს. უკანასკნელი უაღრესად არის დაინტერესებული იმაში, რომ სოფელი სოციალისტური გზით ვითარდებოდეს და არა კულაკური გზით. მუშათა კლასი ვერ დაკმაყოფილდება იმით, რომ დაეხმაროს სოფელს მარტო სხვადასხვა პოლიტიკური კამპანიების ჩატარებაში (საბჭოთა არჩევნები და სხვ.) მან აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს გლეხობის სამეურნეო სიქმიანობის წარმართვაში სოციალისტური გზით. რომ მუშათა კლასი დაინტერესებულია სოფლის სოციალისტურად გარდაქმნით და მზად არის აქტიურად დაეხმაროს სოფელს ამ საქმეში, ამის საუკეთესო დამამტკიცებელია 14 ოქტომბერი—მოსავლისა და კოლექტივიზაციის დღე, რომელიც ახლახან ჩავატარეთ, მრავალი ათასი მუშისაგან შემდგარი ბრიგადები გაემგზავრა ამ დღეს სოფელში, გაემგზავრა არა ხელცარიელი, არამედ ორი საათის ან მთელი დღის ხელფასით, რომელიც სოფლის სოციალისტურად გარდაქმნას უნდა მოხმარდეს.

მუშათა და გლეხთა კავშირს, რომელიც ოქტომბრის პირველ ხანებში მიმართული იყო გარეშე და შინაური მტრების წინააღმდეგ, ახალი შინაარსი მიეცა—ახლა იგი მიმართულია კაპიტალისტური ელემენტების დაძლევისაკენ სოფლად და ქალაქად.

სოციალისტური ელემენტები შეიჭრა და იმარჯვებს სოფლად. და თუ ჩვენ სოციალიზმის მშენებლობის ამ ყველაზე უძნელეს ფრონტზე, ჩვენი მტრების მოწმობითაც კი, გვაქვს მნიშვნელოვანი მიღწევები, ეს იმის თავდები და მაჩვენებელია, რომ ჩვენ სოციალიზმს ავაშენებთ მტრების მახინაციებისა და გველური სისინის და სოციალიზმის მშენებლობის სიძნელეების წინაშე დამფრთხალ ელემენტების წუწუნის მიუხედავად.

ე. წულაძე.

# სურამის უღელტეხილის ელექტროფიკაცია

192 კილომეტრის მანძილზე აღმართულან მტკიცე, რკინის ბურჯები. აქ იგება ზაჰესის და რიონჰესის შემაერთებელი ხაზი.

შორს არ არის ის დღეები, როდესაც მსხვილ მავთულებში გაიქლის ელექტროდენი, როდესაც ძველ სურამს გაჭკვეთავს ელექტრომავლები.

იზრდება, მტკიცდება და ფართოვდება ეს მხარე. „ზებრუხანა“-ა. ქ. რკინის გზა ვეღარ უძლებს გადაზიდვებს. შავ. გველისებური ხაზით მიიკლაკნება მატარებელი ჭაღარა სურამზე, ქშინავენ მძლავრი ორთქლმავლები. მაგრამ ეს არ კმარა ახალგაზრდა საბჭოთა საქართველოსთვის, რომელიც დღითიდღე იზრდება.



ზაჰეს-რიონჰესის შემაერთებელ ხაზზე მუშაობა.

სურამ - ზესტაფონის ხაზზე ახალი მუშათა ბინები.



ელექტრონის ანძების გადატანა



ზაჰე-...იონჰესის ხაზზე მომუშავეთათვის მუშათა ბინა მოლითში.







ახალი გზების გაყვანა ზაჰეს-რიონჰესის ხაზზე მასალის მისაწოდებლად.

ამიტომ შეუსუსტებლად მიმდინარეობს დიადი, ჯერ არნახული აღმშენებლობა. 2700 ტონა ლითონი უკვე გადამუშავებულია გადამცემი ხაზის ანძებად. როგორც სოკოები, ისე იზრდებიან ახალი სახლები, რომლებშიც ერთი ორი წლის შემდეგ მოიკალათებს ახალი ხალხი.

ამიერ კავკასიის რკინი გზა ყველაზე ძვირ გზად ითვლება მთელს კავშირში. სურამის აღმართები კიდევ უფრო აძვირებენ მას: არ არის მთლიანად გამოყენებული ორთქლმავლების სიმძლავრე, რომლებიც ხშირად ფუჭდებიან, ბევრი იხარჯება ძვირფასი სათბობი მასალა—ნავთი,

რომ ერთხელ და საბოლოოდ მოვლოს ბოლო ძველს, ჩვენმა მთავრობამ სურამის უღელტეხილის ელექტროფიკაციისათვის გაიღო 20,300,000 მან. ამ თანხით აგებული იქნება გადამცემი ხაზი, ქვესადგურები, შენობები და გარდა ამისა შეძენილი იქნება ელექტრომავლები.

სურამის უღელტეხილის ელექტროფიკაციას მნიშვნელობა აქვს არა მარტო საქართველოსთვის, არამედ მთელი ამიერკავკასიისათვის. ეხლა სურამის უღელტეხილზე შემოღებულია საბარგო მატარებლების წაყვანა ოთხი ორთქლმავლით. ასეთი მატარებლის წონა უდრის 650-დან 1.000 ტონამდე, ხოლო მისი სისწრაფე არ აღემატება 10-15 კილომეტრს საათში.

ელექტროფიკაცია გაზრდის რამოდენიმეჯერ სურამის უღელტეხილის გამტარუნარიანობას და დიდ ეკონომიურ ეფექტს მოგვცემს.

ამჟამად თვითეული ორთქლმავლის ხარჯი 10.0 0 ტონა-კილომეტრზე უდრის 59 მან. და 16 კაპ. მაშინ როდესაც ელექტრომავალი დახარჯავს 21 მან. 75 კაპ:

ელექტრომავლების გაშვების პირველ წელსვე მივიღებთ ერთ მილიონ მანეთის ეკონომიას. ამასვე უნდა დაუმატოთ ის გარემოება, რომ 20 ელექტრომავალი გაანთავისუფლებს 50-55 ორთქლმავალს, რომლებიც წარმატებით იქნება გამოყენებული ჩვენი კავშირის სხვა ხაზებზე.

თბილისიდან ზესტაფონამდე ელექტროფიკაციის მუშაობა სდუღს: გადამცემი ხაზის 780 ანძა უკვე მიტანილია სამუშაოების ადგილზე, რომლიდანაც 624 უკვე დადგმულია.

ანძების გადმოსატანად საქართველოს სხვადასხვა რაიონებიდან, გაკეთებულია 23 კილომეტრი ახალი გზა, შეკეთებულია 40 კილომეტრი ძველი გზა, აგებულია 9 ქვის და 1 ხის ხიდი. ამას გარდა მუშაობის შემდგომ პროცესში აიგება 10 კილომეტრი ახალი გზა და შეკეთდება 10 კილომეტრი ძველი გზა.

სურამის უღელტეხილის ელექტროფიკაცია მოთავდება, მაგრამ ძველი გზები ისევ დატოვებული იქნება. ის უკვე გადაეცა ადგილობრივ აღმასკომების გამგებლობაში, რომლებიც ვალდებულნი არიან შეინარჩუნონ კარგ მდგომარეობაში.

33 კილომეტრი ახალი გზის აგება და 51 კილომეტრის ძველი გზის კაპიტალური შეკეთება, დიდი წვლილია საქართველოს საგზაო მშენებლობაში.

რაც უფრო ჩქარი ტემპით იწარმოებს გზების მშენებლობა, მით უფრო სწრაფად აღორძინდება ეკონომიურად ჩვენი ქვეყანა.

ზაჰეს-რიონჰესი შეაესებენ ერთი მეორეს შორს არ არის ის დრო, როდესაც ლამაზ და ამავე დროს მტკიცე ანძებში 192 კილომეტრის მანძილზე გაირბენს ელექტროდენი.

ძველი ჭაღარა სურამი დამარცხებული იქნება! მის აღმართებს და მოსახვევებს ადვილად დასძლევს ელექტრომავლები, რომლებიც იმუშავებენ სოციალისტური აღმშენებლობისათვის.

და გ ნა მარტო ეს? ანძებში გავლილი ელექტროდენი საშუალებას მოგვცემს მოვახდინოთ დიდი და პატარა სოფლების ელექტროფიკაცია, რომლებიც რკინის გზის მახლობლად მდებარეობენ.

გაივლის ერთი წელიწადი და ილიჩის სანათური მტკიცე და სასურველ ადგილს დაიკავებს ქართველი გლეხის ოჯახში.

ხუთი წლის შემდეგ კი კოლექტივების ყანებზე, რომლებსაც ეხლა ხის გუთანი სჩიჩქნის, ამუშავდება ელექტრო გუთნები...

ეს ასე მოხდება, ვინაიდან ასეთია ინდუსტრიალიზაციის კანონები!

ა. სკ—ი.

# არკადი ელბაქიძე

## (მისი მოკვლიდან ათი წლის შესრულების გამო)

ათი წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც ვერის დაღმართზე ყუმბარა ესროლეს ავტომობილით მიმავალ გენ. ბარათოვს და ოდიშელიძეს.

ათი წელი გავიდა, რაც ამ საქმის გამო მოჰკლეს ცნობილი ბოლშევიკი არკადი ელბაქიძე.

ვინ იყო ბარათოვი და რატომ დაესხა თავს მას ელბაქიძე? ის იყო დენიკინის წარმომადგენელი, რომელსაც ასე ელოლიავებოდა მენშევიკების მთავრობა, და რომელიც სასტიკ ბრძოლას აწარმოებდა ბოლშევიკების წინააღმდეგ.

მენშევიკების მთავრობა აღშფოთებული და შეშინებული იყო ამ გარემოებით, რადგან მათთვის სასურველი არ იყო დენიკინთან ურთიერთობის გამწვავება.

აი როგორ ასწერს ამ ამბავს მენშევიკების გაზ. „ერთობა“ 1919 წლის 14 სექტემბრის ნომერში:

„გუშინ, დაახლოებით პირველის ნახევარზე, მთელს ქალაქში ძლიერი აფეთქების ხმა გაისმა. გამოირკვა შემდეგი: რუსთაველის პროსპექტისაკენ ვერის დაღმართით მთავრობის ავტომობილით მიდიოდნენ მოხალისეთა ჯარის წარმომადგენელი გენერალი ბარათოვი და ქართული ლაშქრის გენერალი ოდიშელიძე. როცა ავტომობილს ჯერ კიდევ არ გაევლო, ის ადგილი, რომელიც ყოფ. ბირჟის მოედანს აკრავს, მას ორი ყუმბარა ესროლეს. აფეთქება იმდენად ძლიერი იყო, რომ ახლომახლო შუშები დაილეწა. მოკლულ იქნა შოფერი და მისი თანაშემწე, თავში დაიჭრა გენ. ბარათოვი და მძიმედ დაიჭრა გენ. ოდიშელიძე. მსროლელი ხიდის მიმართულებით გაიქცა, რომელსაც მილიციელები დაედევნენ და რა შეამჩნია მდევნელები, მტკვარში გადავარდა და დაიხრჩო. ნაპირზე გამოტანისას მას აღმოაჩნდა დოკუმენტები, რომლებითაც გამოირკვა, რომ ის არის რაჭის მაზრის მცხოვრები ელბაქიძე. შემთხვევის ადგილს სწრაფად მოვიდნენ შინაგან საქმეთა მინისტრი, ქალაქის თავი და მთავრობის თავმჯდომარე. დაჭრილნი მიხეილის საავადმყოფოში გაგზავნეს. სწარმოებს კვლევა-ძიება“.

ცნობაში „ერთობა“-მ გვერდი აუხვია იმის გამომჟღავნებას, რომ ელბაქიძე კომუნისტია და რომ ის კი არ დაიხრჩო, არამედ მოკლულ იქნა მილიციელების მიერ. ხოლო შემდეგ, საქ. დეპეშათა სააგენტოს მიერ გადმოცემულ მთავრობის ცნობაში აღნიშნა ეს გარემოება.

აი რას აცხადებს მთავრობა თავის ოფიციალურ ცნობაში ამ საქმის შესახებ:

„13 სექტემბერს, დღის 12 საათზე და 55 წ. ვერის აღმართზე, კარუსელის დაღმართის დასაწყისის პირდაპირ, ბოროტგამზრახველმა ზედიზედ ესროლა ორი ყუმბარა მთავრობის ავტომობილს (№ 20), რომელშიაც ისხდნენ მოხალისეთა ჯარის წარმომადგენელი, კავალერიის გენერალი ბარათოვი, საქართველოს რესპუბლიკის ჯარების გენერალ ლეიტენანტი ოდიშელიძე და პოლკოვნიკი ალხავი. ორივე ყუმბარა გასკდა და დაამსხვრია ავტომობილის წინა ნაწილი. დაჭრილი არიან გენერალი ბარათოვი ორივე ფეხში, მას მარჯვენა ფეხის ძვალი გატეხილი აქვს, გენ. ოდიშელიძე დაჭრილია ნიკაპში და დაშავებული აქვს აგრეთვე ყური. ბარათოვის სიცოცხლეს საფრთხე არ მოელის. ბოროტგამზრახველი გაიქცა ვერის მოედნით ყორღანოვის ქუჩისკენ, მიირბინა რა იოანე ნათლისმცემლის ეკლესიასთან მტკვრისკენ დაეშვა. მას დაედევნენ მილიციონერები. როდესაც შენიშნა, რომ მას დაედევნენ მაშინვე გადავარდა მდინარეში (ხიდის მახლობლად). როდესაც ბოროტგამზრახველი გამოჩნდა წყლის ზედაპირზე, ერთ ერთი მილიციელის მიერ სასიკვდილოდ იქნა დაჭრილი თავში. იგი მენავემ წყლიდან ამოიყვანა გონება დაკარგული, რომელიც მაშინვე გარდაიცვალა. მოკლული აღმოჩნდა რაჭის მაზრის მცხოვრები სოფ. წესიდან არკადი ელბაქიძე (ცნობილი ბოლშევიკი). მთავრობამ მინისტრთა თავმჯდომარის და სამხედრო და შინაგან მინისტრთა სახით გამოუცხადა ღრმა მწუხარება ბარათოვს და მოხალისეთა ჯარის მისიას ამ სამწუხარო შემთხვევის გამო. (საქ. დეპ. სააგენტო)“.



არკადი ელბაქიძე.

ამ ამბავს გამოეხმაურა აგრეთვე მუსავატისტური აზერბეიჯანიც, რომელმაც თანაგრძნობის დეპეშა გამოუგზავნა საქართველოს „სოციალისტურ“ მთავრობას თეთრ გენერლებზე მოწყობილ თავდასხმის გამო, რომელიც გამოქვეყნებული იყო „ერთობა“-ს 16 სექტემბრის ნომერში:

„ცნობას გენ. ოდიშელ-ძის მოკვლის განზრახვის შესახებ, ადერბეიჯანის მთავრობა დიდი აღშფოთებით შეხვდა. გთხოვთ გადასცეთ გენ. ოდიშელიძეს ჩვენი გულწრფელი თანაგრძნობა ამ ვერაგულ განზრახვის გამო.

მინისტრთა თავმჯდომარე უ ს უ ბ  კ ო ვ ი“.

მენშევიკების „სოციალისტურმა“ მთავრობამ დიდი მადლობა გამოუცხადა სისხლის სამართლის მილიციას „გმირული“ საქციელისათვის, რაც გამოიხატა ელბაქიძის მკვლელობაში

აი რას სწერს „სოციალისტი“ მინისტრი ნ. რამიშვილი „ერთობა“-ს 19 სექტემბრის ნომერში:

„ამ ენერგიული ზომებისათვის, რომელიც მიღებული იქნა ქალაქისა და სისხლის სამართლის მილიციის მიერ გენ. ბარათოვის და ოდიშელიძის მოკვლის განმზრახველთა წინააღმდეგ, რის შედეგიც იყო ერთი ბოროტმოქმედის მოკვლა და ამ დროს ქუჩებში სრული წესრიგის დაცვა, შინაგან საქმეთა მინისტრი ნ. ბ. რამიშვილი გულითად მადლობას უცხადებს ქალაქისა და სისხლის სამართლის მილიციის ხელმძღვანელთ და აგრეთვე ყველა წევრთ მილიციისა, რომლებმაც კი მონაწილეობა მიიღეს ბოროტმოქმედთა შესაპყრობათ“.

ვინ იყო არკადი ელბაქიძე?

ის იყო რაჭის მაზრის, სოფ. წესის გლეხის შვილი, რომელიც 19 წლიდან ებმება რევოლიუციონურ მუშაობაში და არ ზოგავს პარტიისათვის თავის ძალღონეს. პარტიაში ელბაქიძე შევიდა 1904 წელს და მას შემდეგ აწარმოებს დაუღალავ მუშაობას, და არც ერთ გაჭირვების დროს არ ჩამოშორებია პარტიას. 1905 წლის შემდეგ დამდგარ შავი რეაქციის დროს, როდესაც რევოლიუციონერები განიცდიდენ უდიდეს გაჭირვებას და საფრთხეს, ელბაქიძე მედგრად მუშაობს პარტიაში. ის არ იყო უბრალო წევრი, მას პარტია ავალებდა ფრიად საპასუხისმგებლო ორგანიზაციულ საქმეების შესრულებას. 1907 წელს ელბაქიძე მონაწილეობას იღებს ერევნის მოედანზე ფოსტზე მოწყობილ თავდასხმაში, საიდანაც გაიტაცეს ფული. 1912 წელს მდ. დონზე მოაწყო პარამონოვ-ს გემზე თავდასხმა ფულის გატაცების მიზნით, მაგრამ გასცეს და ამიტომ მთელი ორგანიზაცია ჩავარდა. ის შეიპყრეს და გაასამართლეს ნოვოჩერკასკში, სადაც გადაუწყვიტეს სამუდამო კატორღა. მაგრამ მას მოუსწრო თებერვლის რევოლიუციამ და გაანთავისუფლეს, საიდანაც მალე ბრუნდება საქართველოში. 1918 წელს, საქართველო „დამოუკიდებლობის“ გამოცხადებისას, ელბაქიძე სტოვებს სამსახურს და მიდის პარტიის განკარგულებაში — ჩრდილო კავკასიაში, სადაც მსახურობს სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობაზე. მაგრამ პარტიის დავალებითვე ისევე მალე ბრუნდება საქართველოში. აქ მას აპატიმრებენ და ბრალდების წაუყენებლად ოთხი თვე ჰყავდათ ციხეში. მაგრამ არკადიმ გამოაცხადა შიმშილობა და მას ისევ ასახლებენ კავკავში. თერგის ოლქში დენიკინის შემოტევის დროს ის ნაწილთან ერთად ეფარება ინგუშეთის მთებს, საიდანაც მარტის დამლევს ბრუნდება თბილისში, დიაკვანის სახით. აქ ის ამგვარად კარგა ხანს ატყუებს მენშევიკებს. 13 სექტემბერს აწყობს თავდასხმას გენ. ბარათოვზე და ოდიშელიძეზე. მას დაედევნენ ფაჩულია-სულაქველიძის აგენტები და როდესაც ის მტკვარში გადახტა, ესროლეს და მოჰკლეს.

მაგრამ, დიდხანს ვერ იპარპაშეს არკადის მტრებმა, მათაც მალე მოეღოთ ბოლო, ხოლო პარტიის რიგები არკადის ნაცვლად შეივსება ახალ წევრებით, რომლებიც განაგრძობენ მის მიერ დაწყებულ საქმეს.

თ. მ–ლი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დუმა-ცხოველის კოლექტივი

## (აგიტ-კოლონების გამგზავრება)

დილაადრიანად მიუახლოვდით ხაშურის რაიონის ალის თემის სოფელ დუმა-ცხოველს. ალიდან დუმა-ცხოველამდე სწორი გზით სულ სამი კილომეტრია. მაგრამ ჩვენ ვიჩქაროდით და ამიტომ გადავჭერით მთები და გლეხების ყანები.

დილის 6 საათია და გლეხები უკვე გამოსულან ყანებზე სამუშაოთ. მიწას 6—7 უღელი საქონელი მიათრევს ერთ გუთანს, არა მამაპაპურს ხის კავს, არამედ ნამდვილ საბჭოთა გუთანს „წითელი პროლეტარი“-ს მარკით.

უკვე ბევრია მოხნული. თესვის კამპანია წარმატებით ხატარდა. თავისუფალი მიწა აღარ დარჩება, მთავრობის დირექტივა გადამეტებით იქნება შესრულებული.

მაგრამ ეს მიწები ეკუთვნის ინდივიდუალურ მეურნეობებს, რის მაჩვენებელიც საზღვრითი ზოლებია, რომლებითაც გაარჩევ სხვადასხვა „სამფლობელოებს“.

მივიწევთ წინ. ჩვენ გვაინტერესებს პატარა სახლი გორაკზე, რომელიც ეკუთვნის დუმა-ცხოველის კოლექტივს.

ეს პატარა კოლექტივი, რომელიც დაარ და 1923 წელს სოციალისტურ კუნძულს წარმოადგენს ინდივიდუალურ მეურნეობათა ზღვაში.

ჩვენ შეგვეგება კოლექტივის თავმჯდომარე ამხ. სიმონ მაისურაძე, ახალგაზრდა კაცი, პარტიული, რომელსაც აცვია სუფთად. ჩვენთან შემოვიდა ერთი კოლექტივის წევრი, ისიც სუფთად ჩაცმული. სხვა გლეხებთან შედარებით, რომლებსაც აცვიათ ტურტლიანი და დაკონკილი ტანსაცმელი, ეს კოლექტივის აღმზრდელობითი მნიშვნელობის მაჩვენებელია, სადაც მისი წევრები არ ცდილობენ მოაჩვენონ თავი ქრისტიან-საწყლებათ და იწუწუნონ თავიანთ ბედ-იღბალზე. აქ ყველაფერი შრომაზეა დამყარებული. ბევრს გააკეთებ—ბევრს მიიღებ, იზარმაცებ—ნაკლებს მიიღებ, ან „უკეთეს შემთხვევაში“ გამოგაგდებენ კოლექტივიდან.

დრო ძალიან ცოტა გვქონდა და ამიტომ მაშინათვე შევუდექით კოლექტივის 28/29 წლის გეგმის შედგენას. ჩვენთან მოსული ორი აგრონომი ამტკიცებდნენ, რომ საჭიროა თესვის წინად მიღებულ წესის შეცვლა, უნდა შეიცვალოს პურეულის ერთი სახე მეორეთი.

ამხ. მაისურაძე მაშინაც კი არ წასულა წინააღმდეგ, როცა მას წინადადება მისცეს დათესა კოლექტივისათვის აშკარად საზარალო პროდუქტი—შაქრის ჭარხალი. უნდა ითქვას, რომ კონტრაქტაციით ფუთ ჭარხალში, უახლოეს სადგურში მიტანით, აძლევენ 20 კაპეიკს. ამ 20 კაპეიკში შედის დათესვა, მოვლა, აკრეფა და ჩაბარება. ეს რათქმა უნდა ძალიან საზარალო საქმეა, მაგრამ სახელმწიფოსთვის აუცილებელი. ეს არის ჭარხლის საცდელი თესვა სადგურ გომთან ასაგებ შაქრის ქარხნისათვის.



კოლექტივ „გლეხის ოჯახი“-ს სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანები ხაშურის რაიონში (გომი).

კოლექტივი აერთიანებს 60 კომლს. გაერთიანებულია მიწა, ბაღი, ბოსტანი სულ 60 ჰექტარი. ამ წელს განზრახულია საქონლის გაერთიანება, რისთვისაც აგებულ იქნა საერთო ბოსელი. ამის შემდეგ საქონელი გამოისყიდება კოლექტივის წევრებისაგან და გადავა კოლექტივის საკუთრებად.

პირველად ჩაეწერა 32 ოჯახი, მაგრამ როდესაც შეუდგნენ მიწად-მოწყობას და კოლექტივის რიგების შემოწმებას, საჭირო გახდა კულაკურ და სხვა ანტისაბჭოთა ელემენტების განდევნა. დარჩენილებმა აირჩიეს გამგეობა 3 კაცისაგან.

კოლექტივის დაარსების დასაწყისში მას დახმარება აღმოუჩინა მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობა „გლეხის ოჯახმა“, რომელმაც მისცა სათესი მანქანა, გუთნები, ტრიერები და სალეწი მანქანა. არ მისცეს მხოლოდ ტრაქტორი, რაც უფრო მთავარია კოლმეურნეობაში. —ცენტრი გვეუბნება, რომ ტრაქტორს მხოლოდ მაშინ მოგცემთ როცა ახლო-მახლო კიდევ დაარსდება კოლექტივებიო. ჯერჯერობით კი კოლექტივი სარგებლობს სოფლის ტრაქტორით.

კოლექტივის შინაგანი წესებით არავინ არის დაინტერესებული, კოლმეურნეობათა ცენტრი არავითარ დახმარებას არ უწევს, ალის თემის პარტ. და საბჭოთა ორგანიზაციები ძალიან გულგრილად ეკიდებიან ამ ერთად-ერთ სოციალისტურ კუთხეს. უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვით, რომ კოლექტივის არსებობა ხეირთანადაც კი არავინ იცის.

დახმარება კი საჭიროა და ძალიან დიდიც. ამ საქმეს პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა უნდა მიაქციონ განსაკუთრებული ყურადღება, უნდა ფხიზლად მოეკიდოთ მას.

ჩვენ კი რას ვხედავთ?



კოლექტივი „წითელი ოქტომბერი“ ხაშურის რაიონში

# პროფ. ანდრია რაზმაძის გარდაცვალება

ეროვნული ბიბლიოთეკა

## (ბიოგრაფიული ცნობები)

პროფ. ანდრია რაზმაძე დაიბადა სოფ. ჩხენისში, (ქუთაისის მაზრა, კულაშის თემი) 1890 წ. 30 ივლისს. პირველდაწყებითი სწავლა მიიღო ხ.შურის რკინის გზის ორკლასიან სკოლაში, შემდეგ ფოთის და ქუთაისის სამოქალაქო სასწავლებლებში. 1904 წ. შევიდა ქუთაისის რეალურ სასწავლებელში, მეოთხე კლასში. ოთხი წლის კურსი მან გაიარა ორი წლის განმავლობაში, ისე რომ რეალური სასწავლებელი უკვე 1906 წელს დაამთავრა. იმავე წელს შევიდა მოსკოვის უნივერსიტეტის მათემატიკურ ფაკულტეტზე, რომელიც დაასრულა 1910 წელს.

უკვე სტუდენტობის დროს მიიპყრო ყურადღება თავის იშვიათ ნიჭით. 1917 წ. ჩააბარა სამაგისტრო გამოცდები, რის შემდეგ მიწვეული იყო იმავე უნივერსიტეტში პრივატ-დოცენტად და კითხულობდა ვარიაციათა აღრიცხვის სპეციალურ კურსს. ამ ხანებში ის რამოდენიმეჯერ მივლინებული იყო უცხოეთში, სადაც თანამშრომლობდა გამოჩენილ მათემატიკოსებთან (კარათეოდორი, ბილცა და სხ.).

საქართველოში უნივერსიტეტის დაარსებას განსვენებული განსაკუთრებულის ენტუზიაზმით მიეგება და ის იყო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამფუძნებელი.

თბილისის უნივერსიტეტის გახსნის დღიდან—ის მუდმივად კითხულობდა ლექციებს შემდეგ საგნებში: ანალიზი, შესავალი, დიფერენციალური აღრიცხვა, ინტეგრალური აღრიცხვა, ანალიტიურ ფუნქციათა თეორია, ალბათობის თეორია, ვარიაციათა აღრიცხვა და სხვ. უნივერსიტეტის დაარსების პირველ წლებში, სამეცნიერო ძალების უყოლობის გამო, მას უხდებოდა ლექციების კითხვა «სხვა დარგებშიაც» რომელნიც მის უშუალო სპეციალობას არ შეადგენდნენ, როგორც მაგ. ფიზიკა, მაგრამ აქაც მან გასაოცარი ერუდიცია გამოიჩინა და ეს საგნებიც მის მიერ მშვენივრად იყო წაკითხული.

1924 წელს ის გაემგზავრა უცხოეთში და მუშაობდა უდიდეს თანამედროვე მათემატიკოსებთან, როგორც, მაგ. ჰადამარი და სხ. 1925 წ. მან პარიზში ბრწყინვალედ დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „წყვეტილი გარდაწყვეტანი ვარიაციათა აღრიცხვაში“ და მიიღო მათემატიკის დოქტორის ხარისხი.



პროფ. ა. რ ა ზ მ ა ძ ი ს გამოსვენება უნივერსიტეტიდან.

თავიდანვე კულაკურმა ელემენტებმა სასტიკად გაილაშქრეს კოლექტივის წინააღმდეგ, ყოველმხრივ სცდილობდნენ შეეფერხებიათ მისი მუშაობა და როდესაც მათ არავითარი წინააღმდეგობა არ გაუწიეს, უფრო გააძლიერეს იერიშები. შედეგათ მივიღეთ თავდასხმა არტელის წევრ ალექსი პაპუაშვილზე. თავდამსხმელ თედო პაპუაშვილს, რომელიც ხაშურის დეპოში მემანქანედ მუშაობს, უნდოდა ალექსის მოკვლა, მაგრამ მხოლოდ დასჭრა. საქმე გადაეცა სურამის სასამართლოს, ამ უკანასკნელმა მოსპო იგი. საკასაციო საჩივრის შემდეგ სასამართლომ განიხილა საქმე და შეარიგა შეურიგებელი მტრები. სურამის სასამართლოს ასეთი კლასიური ხაზის წინააღმდეგ საჭიროა ბრძოლა.

გარდა თავდასხმებისა კულაკები ხელით ჭლუჯავდნენ ყანას, აფუჭებდნენ მომწიფებულ პურს, მართავდნენ არალეგალურ კრებებს და ყოველმხრივ ხელს უშლიდნენ კოლექტივის მუშაობას.

მაგრამ კოლექტივის წევრებს, თუმცა მათ დახმარება არსაიდან ჰქონდათ, მაგრად ეჭირათ კოლმეურნეობა ხელში და არ სთმობდნენ პოზიციებს.

— როგორ გაიყოფთ მოსავალს? შევეკითხეთ ჩვენ.

მოსავალი იყოფა ყველა მუშაზე თანაბრად. თუ ოჯახში ორი ან სამი მუშაა, ასეთი ოჯახი მიიღებს ორ ან სამ წილს, ოჯახის დანარჩენ წევრებზე ემატება პროცენტულად, მჭამელთა რიცხვის მიხედვით.

ამ რამდენიმე ხნის წინად კოლექტივიდან დაითხოვეს ორი ხარშაცი, რომლებიც ხელს უშლიდნენ მუშაობას და მათ მაგიერ მიიღეს ერთი ოჯახი.

კოლექტივში შესვლის მსურველთა რიცხვი დღითი-დღე იზრდება.

პურის დამზადების კამპანიაში კოლექტივმა ჩააბარა 404 ფუთი პური, საშუალოდ თითო წევრზე მოდის 25 ფუთი, ე. ი. მეტი ვიდრე ჩააბარა სოფლის რომელიმე შეძლებულმა გლეხმა.

ჩვენ დავპირდით, რომ დავრაზმავთ კოლმეურნეობის ირგვლივ საზოგადოებრივ აზრს და გავემგზავრეთ სოფ. ფცას „უდაბურ კოლექტივში“.

**ხ. ქ—კო.**



ხაშურის რაიონში დუმა-ცხოველში კოლექტივის წევრებმა კოოპერატივს ჩააბარეს 404 ფუთი ხორბალი (თითომ 25 ფ. უფრო მეტი, ვიდრე საშუალო გლეხმა ან კულაკმა ჩააბარა.

# დასავლეთ საქართველოში ჩაის წარმოება ფართოდ ვითარდება









[illegible]









[illegible]

# მოტოციკლეტებზე გადარბენა



ზევიდან:
1. აბაშის ველი.
2 ლუქსემბურგი
3. სოფ. ელენოვკა.
4. ყარაღაჩის ფლელტეხილი.

ამიერ-კავკასიაში პირველი მაგალითი [illegible], რომ საქართველოს „ავტო-გზა“-სამმართველომ მოაწყო 780 კლ. მანძილზე, მოტოციკლეტებზე გადარბენა; თბილისი — ერევანი ლენინაკანი კარაკლისი. დამხმარე კომიტეტმა ამხ. ბოლქვაძის მეთაურობით დიდი მზრუნველობა გამოიჩინა, და მიუხედავათ მრავალ დაბრკოლებებისა, წვიმისა და გაფუჭებულ გზებისა გადარბენა ღირსეულად ჩატარდა.

გზა და გზა მუშა-გლეხობა დიდის აღფრთოვანებით გვხვდებოდენ, ლუქსემბურგში გლეხების მიტინგი წარმატებით ჩატარდა, იძლეოდენ მრავალ საჭირო შეკითხვებს და იღებდენ განმარტებებს. საშინელ ავდრის გამო ვორონცოვკაში მივაღწიეთ ღამის 12 საათზე. დილის ექვს საათზე ფეხზე ვიყავით. კოლონის კომანდორის ამხ. ჯაიანის გაკარგულებით გავსწიეთ წინ. უკვე სომხეთის გზებზე ვართ გლეხები აღფრთოვანებით გვ ხვდებოდნენ. დაუბრკოლებლად გადავიარეთ ყარაღაჩის ფლელტეხილი. ამ დღე იწყობა მშვენიერი „ზატკეცილი, სოფ. ანუნში მიტინგი მოეწყო და კომანდორის მოტოციკლეტი ტრიბუნად. ლენინაკანში ხალხ ქალაქ გარეთ დაგვხვდა. ქალაქში ბაირაღები წარწერით: „სალამი სტუმრებს“, ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხისთვის“ „და სხვ. შემდეგ ერევანზე და სპეტაკის ფლელტეხილზე, მგზავრობა დასრულდა სრული ჩვენი გამარჯვებით; 2 საათზე უკვე აბაშის ველზე ვიყავით, სადაც ქურთების სოფელში ეწყობოდა მიტინგები. შემდეგ აშტარაკი, ეჩმიაძინი და 5 საათზე ერევანში ვიყავით, სადაც ძმური შეხვედრა აუწერელი იყო. მეოთხე დღეს უკან დავბრუნდით კარაკლისზე თბილისში. ამ გზაზედაც იგივე მხურვალე შეხვედრა სოფლელ მცხოვრებთაგან. სევანის ტბამ ამხანაგები აღტაცებაში მოიყვანა. დანიშნულ ვადას არ გადასცილებია და 7 საათზე კოლონა გამწკრივდა თბილისში თავისუფლების მოედანზე. ის მხურვალე შეხვედრა გადარბენის კოლონის მიმართ და ის აღფრთოვანება, რომელსაც აშკარავებდნენ გზა და გზა მაცხოვრებლები იმის თავდებია, რომ ამიერ-კავკასიის ხალხთა შორის შეკრულია ძმური კავშირი და ძველი შუღლი მოსპობილია სამუდამოთ.



რთველი კახეთის სახელმწიფო მამულებში.

# მთის რაჭა

ცენტრალური კავკასიონის მწვერვალებსა და ყინვარების მახლობლად გადაშლილი ადგილები, რომელნიც მოყოლებულნი ჭანჭახის გადასავალ—მწვერვალიდან მიემართებიან დასავლეთით სვანეთის მთების საზღვრებამდე, უნდა ვიგულისხმოთ როგორც მთის რაჭა. ჭანჭახის გადასავალის ქვემოთ ოსური სოფელი ღურშევი (1900 მეტრის სიმაღლეზე), ცნობილი კურორტი შოვი



ძველებური სახლი-ციხე მთის რაჭაში.



სოფელი ღები მთის რაჭაში.

ფოტო ვ. თულაშვილის.

(1600 მ.), სოფლები გლოლა (1450 მ.), ჭიორა (1500 მ.) და ღები—აი მთელი მიდამოები, რომელიც შეადგენს მთის რაჭას. აქვე შედის ამ სოფლების მახლობლად უფრო მაღლა მთაში მდებარე მიდამოები, ის საზაფხულო სადგომები: ველები, კოდანა, ჩვეშო, თევრეშო და ბრილი, სადაც აგრეთვე გასული არიან მთიელი რაჭველები. სამხედრო ოსეთის გზით მიმავალი, მთის რაჭის საზღვრებში შედის ე. წ. გლოლას ხიდს რომ გადაცილდება, მხოლოდ მარცხნით ხიდის



პურის მკა.



მთიელი რაჭველები.



მთიელი რაჭველი ქალები წყაროსთან.

ზემოდ მიმავალი გზა თვით მდინარე რიონის სათავემდე აგიყვანთ სოფლებში ჭიორა და ღებში, მარჯვნით კი გზატკეცილით გახვალთ სოფელ გლოლით კურორტ შოვში და უფრო ზევით სოფელ ღურშევში მდინარე ჭანჭახის სათავეებში.

მთიელი რაჭველები საესებით განსხვავდებიან თავისი ბუნებით ქვემო და ზემო რაჭველებიდან. მთიელ რაჭველში სავსებით ასახულია მთის ბუნება, მისი სიმკაცრე, მისი სიდიადე. ამის მოწამეა ყინვარები: ჭანჭახი, ბუბა, ბოყო, ყორტიშო, ზაფხილო, ედენა და ფასა. უკანასკნელი ყინვარი და მწვერვალი ფასას სახელწოდებით — ფასა, ფასის მთა ეს ხომ ის ფაზისია, რომელზეც მოგვითხრობს ძველი ისტორია.

მთიელი რაჭველი თავისი ბუნებით ახლოს სდგას პირაქეთ კავკასიონიდან სვანებთან, რომელნიც უშუალოთ მათი მოსაზღვრენი არიან დასავლეთით—მწვერვალი ვაცისწვერი, მდინარე ცხენის წყლის სათავეები ქვემო სვანეთში და მდინარე ენგურის სათავეები ზემო სვანეთში, მხოლოდ პირიქითა კავკასიონიდან ბალყარელ-ყაბარდოელებთან და დიღორის ოსებთან, რომლებთანაც ურთიერთობა მათ ძველადგანვე აქვთ და იგი დღესაც გრძელდება.

მთიელ რაჭველების ჩაცმულობა, ლაპარაკის კილო, მოქცევა, ხასიათი—უეჭველად მთიულერია და ამ მხრივ აუცილებლად დიდ განსხვავებას ვხედავთ მათ და ქვემო-ზემო რაჭველებს შორის. მასთანვე ის ძველი ციხე-სახლები, სადაც შემოფარგლული მტრისაგან დასაცავათ ცხოვრობდა მთიელი რაჭველი და რომელიც დღემდის კიდევ შერჩენილია ისე როგორც სვანეთში, არის დამამტკიცებელი მისი გარიყული ცხოვრების.

მთის ბუნება, მიწის სივიწროვე მას იძულებულს ხდის ყოველწლიურად და ხშირად სამუდამოთაც კი გასცილდეს იგი თავის მიდამოებს და შორს არამც თუ კავკასიონის ქედის გადაღმა მხოლოდ ჩრდილო კავკასიის ხალხებში გასწიოს მან მუშაობა, არამედ საბჭოთა კავშირის შორეულ მიდამოებში და მის საზღვრებს გარეშეც ამოყოს თავი. დღესაც ბევრს ნახავთ მთის რაჭაში ისეთს, რომელიც ამერიკაში ყოფილა და იქ უმუშავნია ქარხნებში და რკინის გზის გაყვანაზე.

მთიელ რაჭველს როგორც მიწის მუშას, თავის მცირე ადგილზე მოყავს პური, ქერი და კართოფილი. ეწევა იგი აგრეთვე მესაქონლეობას. მას ყავს საუკეთესო ჯიშის საქონელი ერბო და საერთოდ რძეული შენამზადები უხვადაა მის ოჯახში.

საერთოდ კი მთიელი რაჭველები ჯანსაღი ხალხია და საერთოდ ყოველგვარი ავადმყოფობა მათ შორის ძლიერ ნაკლებადაა გავრცელებული.

**ი. ახლანიშვილი.**

# ყინულ-მჭრელის „სედოვ"-ის სარეკორდო რეისი

## მთელ დედამიწაზე ჩრდილოეთით მდებარე ობსერვატორია და რადიო სადგური



ექსპედიციის ხელმძღვანელნი: პროფ. ვ. ი. ვიზე, პროფ. ო. ი. შმიდტი და პროფ. რ. ლ. სამოილოვიჩი.

ყინულ მჭრელი „სედოვ"-ი, რომელზედაც იმყოფებოდა სახელმწიფო ექსპედიცია, თითქმის ორი თვის პოლიარული მოგზაურობის შემდეგ, ქ. არხანგელსკში დაბრუნდა ამა წლის 12 სექტემბერს. ამ ექსპედიციამ ფრანც-იოსების მიწამდე მიაღწია და მიუხედავად მრავალ დაბრკოლებებისა და ავარიისა, არამც თუ შესძლო ამ მიწაზე საბჭოთა კავშირის დროშის აღმართვა და რადიო სადგურის დადგმა, არამედ ევროპა-აზიის სექტორში თავისუფალ-პოლიარულ მოგზაურობის ახალი რეკორდი დაამყარა.



ჩრდილოეთის მოსახლეობის უფროსი პ. ი. ილიაშევიჩი. ფრანც იოსების მიწის რადიო-სადგურისა და ობსერვატორიის ხელმძღვანელი.

ამას გარდა ექსპედიციამ შეასრულა დიდი მეცნიერული მუშაობანი და გამოკვლევანი. ამ ექსპედიციის მუშაობით დამტკიცდა, რომ ჩვენი ყინულმჭრელებით ყოველწლიური დათვალიერება არხიპელაგისა სავსებით განსახორციელებელი ყოფილა. „სედოვმა" გაიარა მთელი არხიპელაგი. სამხრეთიდან დაწყებული თვით მისი ჩრდილოეთის უკანასკნელ საზღვრებამდე, ამ სრულიად გამოუკვლეველ ადგილების სანაოსნო პირობებს ნათელი მოჰფინა და დედოფალ ვიქტორიას ზღვაში გავიდა. დიდი ყინულების მიუხედავად სედოვმა 82°, 14' სიგანედამდე მიაღწია და ამით მიაღწია ამ წყლებში თავისუფალ მიმოსვლის მსოფლიო რეკორდს, 82°, 14' რომელიც 1899 წელს ჰერცოგ აბრუცცის მიერ იქმნა დამყარებული გემ „სტელლა პოლარე"-ზე. პროფ. ვიზეს ხელმძღვანელობით დამყარებულმა ჰიდროლოგიურმა მუშაობამ ბევრი რამ საინტერესო აღმოაჩინა. ჯერ ერთი ექსპედიციის მიერ აღმოჩენილ იქმნა გოლვშტრემის ახალი მდინარება, რომელიც ჩრდილოეთით უვლის ფრანც იოსების მიწას. მეორე მრავალ, დაბრკოლებათა შემდეგ, ექსპედიცია რუდოლფის (იწის) ბრაროკის კონცხზე ჩამოხტა. ამ კონცხზე ეგულებოდათ პოლიარული მკვლევარის ლეიტენანტ სედოვის საფლავი. ექსპედიცია გავიდა აგრეთვე ტეპლიც ბეის ყურეში, სადაც 1903 წელში დაიღუპა ამერიკის ფიალოს ექსპედიციის გემი ამე-




კუნძულ გუკერის სედოვის კონცხი. ექსპედიციის წევრების ერთი ჯგუფი ლეიტენანტ სედოვის საფლავის ჯვართან.



დიდ ყინულებში მოხვედრილი „სედოვი" ვერ მიუდგა კაპ ფლორას, რუსეთის იმპერიის დროშის საბჭოთა კავშირის დროშით შესაცვლელად. ამ მიზნით ექსპედიციის ერთი ჯგუფი ხელმძღვანელების და კაპიტანის მეთაურობით გაემართნენ კაპ ფლორისაკენ. თან ყინულის ველზე ნავს მიათრევდნენ. სურათზე: ჯგუფის გამგზავრება კაპ ფლორაზე.

რიკა“ რომელმაც ამ ყურეში ორი ზამთარი დაჰყო.

ექსპედიციის მთელი მუშაობა დიდად სახიფათო პირობებში სწარმოებდა. ყინულებთან ბრძოლის დროს „სედოვი“ ორჯელ იქნა გამორიყული, დაჰკარგა ხრახნილი ფრთა, ორ ადგი-

ზ?ახარევ“. სადგურის ამ შეიდ მცხოვრებელს დაუტოვეს სამი წლის სანოვაგის მარაგი. მრავალი იარაღი, ვაზნები, ძაღლები და სხვა ყოველგვარი მათთვის საჭირო მოწყობილობანი პოლიარულ ზამთრის გასატარებლად. დიდად მძიმე იქნება ამ ხალხის მუშაობა, რადგან იქაური

უეცრად ატეხილი ქარბუქისაგან დაცვისათვის, თანახმად ფრანც იოსების მიწაზე მეცნიერულ დაკვირვებით არსებულ წესებისა, იძულებული იქნებიან მეტეოროლოგიურ ბუდრუგანამდე მისასვლელად ერთი ხელით გაბმული თოკიეჭიროთ და მეორეთი—რევოლვერი.

სედოვის კონცხზე მეტეოროლოგიური ობსერვატორიისა და რადიო სადგურის მუშაობას საბჭოთა კავშირისათვის უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობა ექნება. „ამინდი ჩრდილოეთიდან მოდისო“ ამბობს პროფ. ვიზე და მხოლოდ ამ სადგურის დაკვირვებანი შეგვაძლებინებენ უკეთ მეტის ზედმიწევნით ამინდის წინასწარ ცნობას, რასაც ჩვენი სასოფლო მეურნეობისათვის დიდი მნიშვნელობა ექნება. გარდა ამისა ამ სადგურს დიდი საერთაშორისო მნიშვნელობაც აქვს, რადგან იგი პირველი სადგურია იმ პოლიუსის მახლობლად განზრახულ სადგურების ქსელიდან, რომელნიც აშენებულ უნდა იქნენ ყველა არქტიკულ სახელმწიფოთა მიერ მომავალ „პოლიარულ“ 1932—33 წელში. ორიოდე წლის შემდეგ ეს სადგური გაიზრდება ფართო ობსერვატორიად და მასთან მიჩენილ აეროპლანების დახმარებით შესრულებულ იქნება მრავალნაირი მეტეოროლოგიური და აეროლოგიური დაკვირვებანი.



რუდოლფის მიწა, ყურე ტეპლიც-ბეი.
ამერიკის ფიალის 1903 წლის ექსპედიციის საწყობის მონარჩენი. ამ ექსპედიციამ ავარია განიცადა და ორი წელიწადი ამ მიწაზე გაატარა. ტილოს ფარდები დალპა, დარჩა მხოლოდ ჩონჩხი კარვისა. სურსათ-სანოვაგე არ წახდა, ხოლო ტანისამოსის მარაგი დალპა.

ლას გამოენგრა გემის ცხვირი და დიდის გაჭირებით აიცდინა ზამთარში ყინულებში ჩარჩენა. ეს გამარჯვება უმთავრესად ექსპედიციის იშვიათი სახლვაო შემადგენლობით და ყველა წევრების თავგანწირვით აიხსნება. ექსპედიციის მონაწილეებმა მძიმე შრომა შეასრულეს ისეთი კუნძულების შესწავლით და გადალებით, რომელთაც დღემდე ადამიანის ფეხი არ მიჰკარებიათ. ყურე მშვიდის გუკერის კუნძულზე ექსპედიციამ სამი შენობა ააგო, სადაც დაბინავდა ექსპედიციისა შვიდი თავგამოდებული წევრი და ამგვარად მსოფლიოში დედამიწის ზურგზე ამაზე უფრო ჩრდილოეთით ალარავინ სცხოვრობს. ამ შენობებში საცხოვრებლად დარჩნენ: საცხოვრებლის უფროსი მეტეოროლოგი ილიაშევიჩი, მეტეოროლოგი შაშკოვსკი, რადისტი კრენკელი, მექანიკოსი მუროვი, ექიმი გეორგიევსკი, (რომელიც კომუნისტური პარტიის უჯრედია, ჩვენს დედამიწაზე ჩრდილოეთის უკიდურეს საზღვარზე არსებული) მსახური ალექსინი და მზარეული



შენობები სედოვის კონცხზე.
მარცხნივ —მთავარი შენობა რადიო-სადგურის ანძით, მარჯვნივ—სურსათ-სანოვაგის საწყობი. ნაპირი ახალი დათოვლილია.



სურათი 1. მარცხნივ, ქვევით—ნაჩვენებია კოსტიუმის ქვედა ნაწილი. მთელი კოსტიუმი შესდგება ორი ნაწილისაგან. რომელნიც წყალშეუვალად არიან ერთმანეთთან დაკავშირებული. შუაში ნაჩვენებია მთელი კოსტიუმი და მუზარადი პატარა ღია სარკმელით. მარჯვნივ—ნაჩვენებია როგორ სწარმოებს წყალში მოძრაობა განსაკუთრებული ფრთების დახმარებით. ეს მოძრაობა ნავის მოძრაობას წააგავს.

# წყალში მაშველი კოსტიუმების ახალი ტიპი

სურათებზე ნაჩვენები მაშველი კოსტიუმის დაზ არებით, რომელიც წყალ ქვეშ მავალთა კოსტიუმებს წააგავს, ყოველ ადამიანს შეუძლიან ძალიან დიდი ხნის განმავლობაში წყალზედ იტივტივოს. კოსტიუმი რეზინის ქსოვილისაა და ურიცხვი ხვეულები აქვს დატანებული ჰაერისათვის. იგი ზედა და ქვედა ნაწილისაგან შესდგება (ი. ხ. სურ. 1 და 2). რომლებიც განსაკუთრებული სარტყელით ჰერმეტიულად (დახშულად) არიან დაკავშირებულნი, ისე რომ წყალი შიგნით ვერას გზით ვერ შეატანს. თავს იცავს თითქმის ისეთივე მუზარადი როგორსაც წყალქვეშ მავალნი ხმარობენ. ამ მუზარადს დატანებული აქვს სარკმლები ჰაერის მოძრაობისათვის. კოსტიუმი მეტად ხალვათია, ისე რომ შესაძლებელი ხდება ადამიანმა იქონიოს საჭირო სურსათ-სანოვაგე ხელებზე განაკუთრებულ ფრთებს იკეთებენ. რომ წყალში უფრო სწრაფი მოძრაობა მოხერხდეს. წყალში მაშველი კოსტიუმის გამოცდის შედეგები მეტად თვალსაჩინოა. უნდა ვიფიქრობთ, რომ იგი დიდად გავრცელდება ნაოსნობაში.

ი. ვ—ლი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# წინამძღვარიანთ-კარი

გასულ 1928 წელს შესრულდა 45 წელი, რაც სოფ. წინამძღვარიანთ კარში დაიწყო მუშაობა სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელმა.

1883 წელს ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ ილია წინამძღვრიშვილმა ჩაუყარა საძირკველი იმ შენობას, რომელიც თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში ავრცელებდა საქართველოში სასოფლო-სამეურნეო ცოდნას.

წინამძღვარიანთ კარის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლის მნიშვნელობა ჩვენი სასოფლო მეურნეობის განვითარების საქმეში დიდია. რამოდენიმე ათეულ წლების განმავლობაში იგი წარმოადგენდა ერთ-ერთ სკოლას, სადაც ღარიბი გლეხების შვილები იძენდნენ სამეურნეო ცოდნას.

იქ სწავლობდნენ მეღვინეობას, მევენახეობას, მეფუტკრეობას, მებაღეობას, მეაბრეშუმეობას და სკოლაში შეძენილ ცოდნას ავრცელებდნენ სოფლად.

დღიდან დაარსებისა სკოლამ მისცა სოფელს 200-ზე მეტი მეურნე.

ამჟამათ სკოლაში სწავლობს 40 მოწაფე. სკოლის ერთი უდიდესი ნაკლი იყო ის, რომ მასში თითქმის არ მოიპოვებოდა მოწაფეები ადგილობრივი სოფლებიდან. წრეულს ეს ნაკლი გამოსწორებულია: დუშეთის მაზრიდან მიღებულ იქნება სკოლაში 15 მოწაფე.

სკოლა, მიუხედავათ იმისა, რომ იგი ფრიად საჭიროა, განიცდის დიდ სიღარიბეს. შენობას სჭირია საფუძვლიანი შეკეთება. საჭიროა ახალი ინვენტარის შეძენა, ბიბლიოთეკაში არ მოიპოვება არც ერთი ახალი წიგნი სასოფლო მეურნეობიდან, მუზეუმი არა ფართოვდება, არ ემატება ახალი ექსპონატები, კლუბი სტოვებს მნახველზე ძალიან ცუდ შთაბეჭდილებას მოწყობილობით.

განათლების სახ. კომისარიატმა უნდა მიაქციოს ყურადღება სკოლის უნუგეშო მდგომარეობას. უნდა მიიღოს ზომები ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად. ამას მოითხოვს ჩვენი სოფლის მეურნეობა.



...ო-მონტაჟი შ. ფურცხვანიძის.

...ურათებზე—წინამძღვარიანთ კარის სასოფლო-სამეურნეო სკოლის მოწაფეები მეცადინეობაზე.



ფეიქარი ქალი.
ქანდაკება სიმონოვიჩის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლ. ანდრონიკაშვილი

# მაიმუნების ფერმა სოხუმში

პაწია ბილიკი იკლაკნება და იკარგება ხეობაში, მთების დაქანებული ფერდობები, თითქოს აღმოსავლური ქსოვილი, მორთულია სხვადასხვა ფერი ყვავილებით. რაღაც ბანჯგვლიანი მოსწყდა მორეულ ხეს და მიიმალა კაკტუსებში. მხეცის ღრიალმა დაჰფარა არუ-მარუ. ხეობის



მოსახვევში მოსჩანს რკინის დახლართული ღობე, რომლის იქით რამდენიმე ათეული მაიმუნი მზეზე მხიარულობენ. ორ საცოდავი შეხედულობის გამადრილას არაჩვეულებრივი ხმაური აუტეხიათ და ტერორის ქვეშ ყავთ დანარჩენი პატარა მაიმუნები. ისინი, შიშით კუდამოძუებულნი ელიან ხელსაყრელ დროს, რომ გაუსხლტნენ გამადრილებს და მიიმალონ იქვე მდებარე პაწია სახლში.

ქვეშ, ლაჟვარდოვან წყალში, შუადღის სიცხეში, სძინავს თვალმომჭრელ თეთრ სოხუმს. შაქრის ნატეხებივით ყრია ბუხტის ირგვლივ პატარა, თეთრი სახლები.

ცხელი მზის სხივები კავკასიონის მთაგრეხილის მწვერვალებში დნება. სწორედ ამ მთების წყალობით, რომლებიც იცავენ სოხუმს ჩრდილოეთის ქარებისაგან, დაარსებულია აქ მაიმუნების ფერმა.



***

ეს საქმე ჯერ ახალია, ის სულ რაღაც ორი წელიწადია არსებობს, მაგრამ უკვე საკმაოთ ცნობილია ჩვენი კავშირის ფარგლებს იქითაც კი.

მსოფლიოში სულ სამი ასეთი ფერმაა. ერთი—კუნძულ კუბაზე, მეორე ამერიკაში პროფ. ვორონოვის და მესამე კი—ჩვენი—სოხუმის.

ფერმის მუშაობამ უნდა მოახდინოს ძირეული გადატრიალება მედიცინაში. უკანასკნელ წლებში გამორკვეულია, რომ ადამიანის ყოველგვარი ავადმყოფობა მჭიდრო დამოკიდებულებაშია ე. წ. შინაგან სეკრეციის ჯირკვლების მდგომარეობასთან. მეცნიერების ამოცანაა — ყოველმხრივ შეისწავლოს ეს ჯირკვლები და მათი გავლენა ადამიანის ორგანიზმზე.

დაკვირვებები სწარმოებდა ყოველგვარ ცხოველებზე. ასე მაგალითად, შეჰყრიდნენ, რომელიმე ადამიანის ავადმყოფობას ზღვის ღორს ან ბაჭიას და შემდეგ დაავადებულ ცხოველზე სცდიდნენ წამლობის ყოველგვარ საშუალებას, სანამდე არ გამონახავდნენ ყველაზე უკეთესს.

განკურნებული ცხოველების შინაგანი სეკრეციის ჯირკვლებიდან დამზადებული პრეპარატები არჩენდნენ ადამიანის ასეთსავე ავადმყოფობას.



მაგრამ, როდესაც გასწყვიტეს აუარებელი ცხოველი და მოახდინეს ყოველგვარი ცდა, მეცნიერება ჩიხში მოემწყვდა, რადგან ამ ცდებმა არ გამოიღეს საბოლოო ნაყოფი. ყველაზე გავრცელებულ ავადმყოფობის—კიბოს, ტუბერკულოზის, სიფილისის და სხვ. წამლობა მაინც შეუძლებელი იყო.

192[illegible] წელს ამხ. სემაშკომ გამოსთქვა აზრი, რომ ეს ცდები პატარა ცხოველებიდან გადატანათ უფრო დიდ, ადამიანთან ახლო მდგომ ცხოველებზე ე. ი. მაიმუნებზე. და 1927 წელს, სოხუმში, როგორც კლიმატიურად ყველაზე შესაფერის ადგილას, დაარსდა მაიმუნების ფერმა.

საზღვარგარეთ ასეთი აზრი წარმოიშვა უფრო გვიან—1924 წელს, როდესაც დასავლეთ აფრიკაში (საფრანგეთის გვინეა) დაარსდა მაიმუნების პატარა ფერმა, მეცნიერებათა აკადემიამ იქ მიავლინა თავისი მუშაკი პროფ. ივანოვი. ივანოვის მუშაობა მეტად საინტერესოა. მან მოახდინა ნაკლებ განვითარებულ ჯიშების გადაჯვარედინება უფრო განვითარებულ და სრულყოფილ ჯიშებთან (შიმპანზე გორილასთან, გორილა ორანგ-უტანგთან, შიმპანზე ორანგ-უტანგთან და სხვ.). რა თქმა უნდა ჯერ კიდევ შორეული აზრია, მაგრამ ივანოვს სურს მაიმუნის განაყოფიერება ადამიანის თესლით. ასეთი ცდების წარმატებას დიდი მნიშვნელობა ექნება მედიცინისათვის პრეპარატები, დამზადებული ამგვარად გადაჯვარედინებულ მაიმუნების შინაგანი სეკრეციის ჯირკვლებიდან, მოგვცემენ საშუალებას ვუწამლოთ ყოველგვარი ავადმყოფობას.

***

ფერმაში ამჟამად არის 41 მაიმუნი: 9 პავიანი, 5 შიმპანზე, 21 გამადრილა, 2 ორანგ-უტანგი და 1 მაიმუნი რეზუსის ჯიშისა.

წლევანდელი, სოხუმისათვის უჩვეულო მკაცრი ზამთარი, მაიმუნებმა გადაიტანეს მშვენივრად. უკანასკნელი 6 თვის განმავლობაში არ



ყოფილა სიკვდილიანობის არც ერთი შემთხვევა. ეს იმის მაჩვენებელია, რომ საქმის სათანადოთ დაყენების შემდეგ, აფხაზეთი საუკეთესო ადგილია ასეთი ფერმის არსებობისათვის, და არა მარტო არსებობისათვის, არამედ გამრავლებისათვისაც. „საბავშო სახლში" მონავარდე პრიმუსი და მაქსიმკა, რომლებიც აქ დაიბადნენ, ამის საუკეთესო არგუმენტია.

***

ფერმის დათვალიერების შემდეგ დიდხანს რჩება კიდევ თავში აზრი, თუ რა დიდი სამეცნიერო-შემოქმედებითი მუშაობა სწარმოებს აქ. არსებული პერსონალი მასზე დაკისრებულ საქმეს პირნათლად ასრულებს. ამის გამოხატულება



აძევს ყოველ საგანს ექიმ ტობილკინს, რომლის დაუღალავი მუშაობით არსებობს ეს დიდმნიშვნელობის დაწესებულება, შეუძლია დამშვიდებით იყოს თავისი საქმის წარმატებისათვის.

ფერმა იმყოფება გამოცდილ ხალხთა ხელში, რომლებიც აფასებენ მის უდიდეს სამეცნიერო-საკაცობრიო მნიშვნელობას.

# ჩვენი ფოტო

გუშინ და დღეს

ეროვნული ბიბლიოთეკა



უწინ გლეხი მამაპაპური გუთნით ეწვალებოდა და ზეცას ემვეწებოდა.





ფოტო საპკინმრეწვისა.

დღეს სოფელში კოლექტიური მეურნეობა ვითარდება და გლეხი მანქანებს ამუშავებს.



მთათუშეთში აშენებენ სკოლას.



გორის აგიტ-კოლონა წითელ ქალაქში.



ს. მარტყოფის დელეგატი ქალები პირველ დამხმარე კურსების დამთავრების დროს. მათთან არის ექიმი ლ. აფშაროვი.



ახალშენის საგზაო საამშენებლო სექციის წევრები და საბჭოს უპარტიო წევრთა აქტივი.



საგურამოს აგრონომიული წრე მყნობაში ვარჯიშობს.



მოხეტიალე მუსიკე ილიკო ქურხული, რომელმაც გააუმჯობესა სტვირი.



კახეთში ერთ-ერთს კოლმეურნეობაში ქალი ეწევა მეჭათმეობას.



მოჯამაგირეთა ექსკურსია სოფ. გიორგი-წმინდიდან ქ. თბილისში გიგლა კველიშვილის ხელმძღვანელობით.



სამტრედიის მოჯამაგირეთა ექსკურსია.

რედაქტორი — სარედაქციო კოლეგია

# ქრონიკა



ხაშურის დრამატიულმა წრემ ი. ზარდალიშვილის რეჟისორობით, ა. წ. 6 ივლისს, დასდგა „ჰოპლა, ჩვენ ვცხოვრობთ". სურათზე—პიესის უკანასკნელი მოქმედება.



ყვარელის სკოლის მოწ. ამხ. ვ. დათოაშვილი საუბრობს თესვის კამპანიის შესახებ.



უზბეკისტანის პიონერი ქალი.



აწყობენ აგიტკოლონის მფრინავ გაზეთს.



ქუთაისის მუშათა ცენტ. კლუბთან არსებულ მომღერალთა გუნდი „წითელი სხივი".



მუშათა ბრიგადები მივლინებული გომის თემში საშემოდგომო თესვის კამპანიასთან დაკავშირებით, იარაღების შესაკეთებლად.

მდაბიო „რიყეზე ქვას ვერ ხედავს“.



— ადამიანო, წაიკითხე რას სწერენ გაზეთში!



— სოფლად შეუდგენიათ კოლმეურნეობები, გლეხები მიწას ტრაქტორით ხნავენ!



— შორეულ აღმოსავლეთში საბჭოთა კავშირის რკინის გზა ჩინეთის ყაჩაღებმა ხელთ იგდეს!



— საფრანგეთის კომუნისტებს მთავრობა სდევნის და აპატიმრებს!



— ევროპის იმპერიალისტები ახალ ომს ამზადებენ!



— უჰ! რა მოსაწყენი გაზეთია! არავითარ საინტერესო ცნობებს არ სწერენ!

(აზრი „კროკოდილი“-დან).

მთავლიტი № 1518 ტირაჟი 4.500 პ/ტ მე-5-ე სტამბა. გაზ. „კომუნისტი“-ს გამომცემლობა.